MES 1 22 0001451623

14/11/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

საბა ელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მარიმგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა
დეკანოზი ბასილ ფილფანი - დაწესებულების დირექტორი

ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის მართლმადიდებლური გიმნაზია
ნარგიზ გაბაძე - დაწესებულების დირექტორი

შპს მილენიუმი
გურამ ბურდილაძე - დაწესებულების ხელმძღვანელი
ხათუნა კაპანაძე - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს თბილისის საერთაშორისო სკოლა
მარგალიტა კუპრაშვილი - დაწესებულების დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა
თეა გაბელაია
მაკა ნადარეიშვილი

ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის მართლმადიდებლური გიმნაზია
ხათუნა ბარაბაძე
ნინო გვარამაძე

შპსმილენიუმი
ვერა ყურულაშვილი
თეონა ყაჭეიშვილი

შპს თბილისის საერთაშორისო სკოლა
ლიანა კობესაშვილი

ნინო მუმლაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361930 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;

2. „შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361907 გადაწყვეტილებაში და N1361670 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს მილენიუმის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

6. შპს თბილისის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. „შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361930 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ „შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361930 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გადაწყვეტილების სათაური ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: ,,შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“, ნაცვლად ,,შპს ყოვლად წმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო გადაწყვეტილების სათაურის ფორმულირებაში და დაკორექტირებულიყო 26 ოქტომბრის საბჭოს სხდომის ოქმის შესაბამისად.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361930 გადაწყვეტილების სათაურში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361930 გადაწყვეტილების სათაურში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“.

2. „შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361907 გადაწყვეტილებაში და N1361670 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ „შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361907 გადაწყვეტილებაში და N1361670 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, N1361907 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად ფიქსირედებოდა 1350 მოსწავლე. მათ შორის ქ. თბილისში 945 და ქ. ბათუმში 800. ხოლო სკოლას განსაზღვრული ჰქონდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 1345-ით, მათ შორის ქ. თბილისში 945 და ქ. ბათუმში 400. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში და დაკორექტირებულიყო შემდეგნაირად: ,,შპს იუჯი სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1345-ით. მათ შორის ქ. თბილისში 945-ით და ქ. ბათუმში 400-ით“. ასევე, 26 ოქტომბრის N1361670 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში მითითებული იყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 1350 ნაცვლად 1345-ისა და ქ. ბათუმში 800 ნაცვლად 400-ისა. მიზანშეწონილი იყო დაკორექტირებულიყო 26 ოქტომბრის N1361670 სხდომის ოქმი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად და ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს - 31 ოქტომბერს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობები. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361907 გადაწყვეტილებაში და N1361670 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N1361907 გადაწყვეტილების მეორე პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „2. შპს იუჯი სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1345-ით. მათ შორის ქ. თბილისში 945-ით და ქ. ბათუმში 400-ით;“.
26 ოქტომბრის N1361670 სხდომის ოქმის პირველ ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1345-ით, მათ შორის ქ. თბილისში 945-ით და ქ. ბათუმში 400-ით. საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 31ოქტომბერი.

3. ა(ა)იპ მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგ ანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თეა გაბელაიამ და მაკა ნადარეიშვილმა.

ექსპერტმა თეა გაბელაიამ განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 03, 04 და 05 ოქტომბერს. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა ფინანსურად ხელს უწყობდა მოსწავლეებს და სასკოლო წიგნებს მათ გადასცემდა უსასყიდლოდ. ასევე, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის ყველა მოსწავლისათვის ტრანსპორტით მომსახურება ხდებოდა უსასყიდლოდ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადე განხორციელებული ცვლილებებით წარმოადგენდა მე-3 მოდელს, რომელიც არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის განმარტებით, სკოლას მიეცა რჩევა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების დროს, ეროვნული სასწავლო გეგმის 56 -ე მუხლის შესაბამისად, საათობრივი ბადის მე-3 მოდელის გამოყენების შემთხვევაში, საათობრივი ბადე შეეთანხმებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის განმარტებით, სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის საათობრივ ბადეში გათვალისწინებული იყო ყველა სავალდებულო საგანი ეროვნულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის შესაბამისად. სავალდებულო საგნების მიხედვით საგნების კვირეულ საათობრივ დატვირთვაში არ იყო განხორციელებული ცვლილებები. სკოლას, თავისი მისიიდან გამომდინარე, 2022-2023 სასწავლო წლის საათობრივ ბადის შესაბამისად, მოსწავლეებისათვის შეთავაზებული ჰქონდა, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება სავალდებულო საგაკვეთილო სახით, საგნებში-საღვთო სჯული I-IX კლასებში და ბიბლია V-IX კლასებში. საათობრივ ბადეში დამატებით გაუთვალისწინებელი სავალდებულო საგნების სწავლებისას სკოლა უზრუნველყოფდა მოსწავლეებს სათანადო დასვენებითა და კვებით. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა დაწესებულების სპორტულ მოედანზე, რომელიც აღჭურვილი იყო მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით და წარმოადგენდა მესტიის რაიონში ერთ-ერთ საუკეთესო სპორტულ მოედანს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მატერიალური რესურსი იმისთვის, რომ უზრუნველეყო მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობა - 190. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰყავდა ექთანი და არა ექიმი. ექსპერტთა რეკომენდაციით დაწესებულებამ გამოაცხადა ექიმის ვაკანსია კანონმდებლობის შესაბამისად. ექსპერტის განმარტებით სკოლას, ასევე მიეცა რეკომენდაცია კიბის უჯრედებში დაემონტაჟებინა ვიდეომეთვალყურეობის კამერები და დაემატებინა ცეცხლმაქრების რაოდენობა, რაც სკოლამ გაითვალისწინა და გადმოგზავნილი ჰქონდა ცენტრში აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენდაცია. ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანური რესურსის თაობაზე, განსაკუთრებით გამოყო და დადებითად დაახასიათა დაწესებულების

ფსიქოლოგი და სპორტის მასწავლებელი. ასევე, ისაუბრა სკოლის იურისტის საქმიანობის შესახებ დაწესებულებაში, რომელიც ეხმარებოდა სკოლას არა მარტო იურიდიულ საკითხებში, ასევე, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაშიც.
ექსპერტ მაკა ნადარეიშვილის განცხადებით, სკოლაში იყო გარემო, რომელიც მორგებული იყო მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა ექსპერტებს, თუ როგორ მიმდინარეობდა მოსწავლეთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, ხდებოდა თუ არა სკოლისა და პედაგოგების მხრიდან მოსწავლეთა ინიციატივების გათვალისწინება.
ექსპერტმა, თეა გაბელაიამ განმარტა, რომ მოსწავლეებთან გასაუბრებისას მათ დაადასტურეს ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, რაც გამოიხატებოდა სპორტული ღონისძიებების, საახალწლო ღონისძიებების ორგანიზებით. ექსპერტის განცხადებით, ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა სასკოლო კლუბები - სპორტული კლუბი და გალობის შემსწავლელი კლუბი, რომელიც ჩამოყალიბებული იყო სწორედ მოსწავლეთა ინიციატივით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ექსპერტებს მიმართა კითხვით, თუ რამდენად ტოლერანტული გარემო იყო შექმნილი სკოლაში, რათა სხვა აღმსარებლობის მატარებელ მოსწავლეს ეგრძნო თავი სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრად.
აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ სკოლის მისიიდან გამომდინარე იკვეთებოდა, რომ დაწესებულების მისია ცალსახად მოსწავლის ქრისტიანული ცხოვრებისთვის მომზადება იყო. საბჭოს წევრის განმარტებით, თუ სკოლა ღია იყო სხვა აღმსარებლობის მოსწავლის მისაღებად, ამისთვის საჭირო გახდებოდა დაწესებულების მისიაში კორექტირებების შეტანა.
სკოლის დირექტორმა, დეკანოზმა, ბასილ ფილფანმა თავი წარუდგინა საბჭოს და განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა მიმღებლობა სხვა აღმსარებლობის მოსწავლის დაწესებულებაში ჩარიცხვის თაობაზე. მან განმარტა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, როცა დაწესებულება ახალ მოსწავლეს გააცნობდა შინაგანაწესსა და მისიას, ამის შემდგომ უკვე მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უნდა გადაეწყვიტა მიიყვანდა თუ არა ამ სკოლაში მოსწავლეს. დეკანოზის განმარტებით ბიბლიის და საღვთო სჯულის სწავლება არ ნიშნავდა პირდაპირი მნიშვნელობით ლოცვას და ეს იყო ერთ-ერთი რელიგიის შესწავლა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა ფუნქციური დაწესებულების ვებ-გვედრი.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას შეეცვალა სახელწოდება და ახალი ვებ-გვერდის ჩამოყალიბება მოხდებოდა უახლოეს პერიოდში. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს, ექსპერტებს და ცენტრის წარმომადგენლებს ავტორიზაციის პროცესში თანამშრომლობითი გარემოს უზრუნველყოფისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 09 ნოემბრის N127 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 09 ნოემბერს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს ჩატარების დღეს - 2022 წლის 31 ოქტომბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 190-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (ს/კ: 435891117) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 190-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 31 ოქტომბერი.

4. ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ნინო გვარამაძემ.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 21, 22 და 23 სექტემბერს.
ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უკეთ დანერგვის მიზნით, განეხორციელებინა შესრულებული შემაჯამებელი დავალებების დეტალური ანალიზი და წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა კონკრეტულად რომელ საკითხში გამოავლინა მოსწავლემ სისუსტე და როგორი იქნებოდა ამ სისუსტის დაძლევის გზა.
მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტის განცხადებით, გიმნაზიის საკუთრებაში იყო 827 კვ.მ, რომელზეც განთავსებული იყო 492,6 კვ.მ შენობა-ნაგებობა. ექსპერტის განმარტებით სკოლაში იყო 13 საკლასო ოთახი. კომპიუტერებისა და საბუნებისმეტყველო

ლაბორატორია. სკოლის საკუთრებაში იყო 300 ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასკოლო დაფები, მოსწავლეების ინდივიდუალური კარადები და სხვადასხვა საჭირო სასკოლო ინვენტარი. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი მცირე ზომის ღია სპორტული მოედანი. ასევე, დახურული კეთილმოწყობილი დარბაზი, სხვადასხვა აღჭურვილობით. პირველ სართულზე მოწყობილი იყო ოთახები, რომელსაც ჰქოდა გასახდელის დანიშნულება.

ექსპერტის განმარტებით, საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ იყო გამწოვი კარადა, რის შესახებაც ექსპერტთა მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია და სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა მტკიცებულებები შესყიდვის დოკუმენტებისა და ფოტომასალის სახით, რომელიც ადასტურებდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟებას.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის სამივე სართულზე დამონტაჟებული იყო ხანძრის (კვამლის) აღმოჩენის დეტექტორები. ყველა სართულზე განთავსებული იყო ცეცხლმაქრები, გამოკრული იყო მათი სარგებლობის წესები. ექსპერტის განმარტებით სკოლას ჰქონდა 50 ტონიანი წყლის ავზი, ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების განსახორციელებლად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადაპტირებული საპირფარეშოების ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ, ადაპტირებული მოწყობილობები არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილებას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე მოწოდებულ იქნა ფოტომასალა, რომელიც ადასტურებდა ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდებოდა 14 ვიდეოკამერით. სამეთვალყურეო კამერები არ იყო დამონტაჟებული კიბის უჯრედებში, სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, სკოლის მიერ გამოსწორებულ იქნა ხარვეზი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, რომლის საქმიანობაც შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. ექსპერტმა გამოკვეთა მოსწავლეებთან გასაუბრებისას აღმოჩენილი მიგნებები და განმარტა, რომ ისინი ხაზს უსვამდნენ მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და მათ საუკეთესო ინტერესებზე მორგებულ გარემოს. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებდა ბიოლოგიის სასკოლო კლუბი.

ადამიანური რესურსის თაობაზე ექსპერტმა აღნიშნა, რომ პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას არ აღმოჩნდა პირად საქმეებში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები. რომლის შესახებაც ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია და სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე გაითვალისწინა აღნიშნული და წარმოადგინა ცნობები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება უსასყიდლოდ ახორციელებდა მოსწავლეთა ტრანსპორტირებას სკოლაში. სკოლაში სწავლა იყო უსასყიდლო და ასევე, ყველა პედაგოგს ეძლეოდა დანამატი.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება გეგმავდა უსასყიდლოდ გადაეცა სასკოლო ფართი კომპანიისთვის, რომელიც კანონმდებლობის ნორმების დაცვით, უზრუნველყოფდა მოსწავლეთათვის კვების ობიექტის, ბუფეტის ფუნქციონირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა სკოლის წარმომადგენლის მიმართ, თუ როგორ გადაწყვიტა სკოლამ ბუფეტის მოწყობის საკითხი.
სკოლის დირექტორმა ნარგიზ გაბაძემ განმარტა, რომ სკოლამ კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმა ხელშეკრულება ინდ. მეწარმესთან, რომელიც უზრუნველყოფდა ბუფეტის ფუნქციონირებას კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენლების მიმართ დასვა შეკითხვა დაწესებულების ,,სვოტ" ანალიზში ასახული სუსტი მხარის შესახებ, რომელიც ეხებოდა სასკოლო საზოგადოებაში მშობელთა ჩართულობას, აღნიშნულთან დაკავშირებით თუ ჰქონდა სკოლას დაგეგმილი რაიმე აქტივობა მიმდინარე სასწავლო წლისთვის.
დაწესებულების დირექტორმა, ნარგიზ გაბაძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო მშობელთა სათათბირო, სადაც გაერთიანებული იყო სკოლის სამივე საფეხურის მოსწავლეთა მშობლები, აღნიშნული სათათბირო მუშაობდა აქტიურად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა თუ რომელი ელექტრონული ფოსტის მისამართით სარგებლობდა სკოლა. ვინაიდან სკოლის ვებ გვერდსა და დასკვნაში მითითებული იყო სხვადასხვა ელექტრონული ფოსტის მისამართი და აღნიშნა, რომ სასურველი იყო ელექტრონული ფოსტის მისამართი ყოფილიყო თავსებადი ერთმანეთთან.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 დეკემბრის N153 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 21 დეკემბერს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 21 დეკემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის მართლმადიდებლური გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის მართლმადიდებლურ გიმნაზიას (ს/კ: 239406674) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების

მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 21 დეკემბერი.

5. შპს მილენიუმის მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ვერა ყურულაშვილმა და თეონა ყაჭეიშვილმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 27 სექტემბერს. სკოლის მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი სასწავლო ფართის/მისამართის ცვლილების თაობაზე.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტისას სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელიც დაადასტურებდა რომ შპს მილენიუმს გაფორმებული ჰქონდა იჯარით სარგებლობის ხელშეკრულება შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელთან 2 წლის ვადით. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, 2022 წლის 12 ოქტომბერს მომზადებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითიც გამოსწორებულ იქნა ხარვეზი. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა ექიმი. შესაბამისად ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, გამოეცხადებინათ კონკურსი და ხელშეკრულება გაეფორმებინათ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმთან. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და გამოაცხადებულ იქნა კონკურსი ექიმის თანამდებობაზე. ექსპერტის განცხადებით ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ერთი კიბის უჯრედის ფრაგმენტი ვერ კონტროლდებოდა ვიდეომეთვალყურეობის კამერით და ასევე, ვერ კონტროლდებოდა ცენტრალური გარე შესასვლელი კიბე. დაწესებულებას ვიზიტის პერიოდშივე მიეცა რეკომენდაცია ვიდეომეთვალყურეობის კამერების დამატების შესახებ, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე გათვალისწინებულ იქნა და წარმოდგენილ იქნა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა ექსპერტებს მიმართა შეკითხვით, იყო თუ არა გამიჯნული დაწესებულების შესასვლელი და იყო თუ არა ადაპტირებული კანონმდებლობის შესაბამისად შენობა.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ დაწესებულება სრულად იყო ადაპტირებული და ამ შენობაში არ ფუნქციონირებდა სხვა იურიდიული პირი.

საბჭოს წევრი, ია გიგიბერია დაინტერესდა, დაწესებულების მიერ გაფორმებული ორწლიანი იჯარის ხელშეკრულებით.

დაწესებულების ხელმძღვანელმა, გურამ ბურდილაძემ განმარტა, რომ 2 წელიწადში დაწესებულებას უწევდა ავტორიზაციის გავლა და სკოლა იმედოვნებდა, რომ აღნიშნულ პერიოდში, საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენამდე, დაწესებულება ფუნქციონირებას გაარძელებდა სხვა შენობა-ნაგებობაში და სწორედ ეს გახდა საფუძველი 2 წლის ვადით გაფორმებულიყო იჯარის ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მილენიუმის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მილენიუმის (ს/კ: 216373797) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. შპს თბილისის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და ნინო მუმლაძემ.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 26 და 27 სექტემბერს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე, რომელიც, მისი განმარტებით წარმოადგენდა სკოლის მხარდაჭერით მოსწავლეთა ჩართულობას მრავალწლიან საგანმანათლებლო პროექტებში, მათ შორის პანდემიის პერიოდშიც.
ექსპერტის განცხადებით, სკოლა ხელმძღვანელობდა ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს

ასწავლიდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა 56-ე მუხლით განსაზღვრულ III მოდელის საათობრივ ბადეს, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უნდა ყოფილიყო წარდგენილი შესაბამისი დასაბუთებით. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულის თაობაზე. ასევე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში განესაზღვრა საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობა. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა სამინისტროს პასუხი საათობრივი ბადის შეთანხმების თაობაზე. აღნიშნული დაადასტურა სკოლის დირექტორმა, მარგალიტა კუპრაშვილმაც.
ექსპერტის განცხადებით, სკოლის შენობას ჰქონდა მშენებარე სტატუსი. აღნიშნულთან მიმართებით, ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ წარადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილი, რომლის მიხედვითაც სკოლის შენობაზე არსებული დაზიანებები ძირითადად I ხარისხისა იყო და აღნიშნული სკოლის შენობა ექსპლუატაციისათვის იყო ვარგისი და უსაფრთხო. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის დირექტორის განმარტებით შენობის ექსპლუატაციაში შესვლას აყოვნებდა სკოლის შენობაში დაგეგმილი ლიფტის მონტაჟის პერსპექტივა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ კიბის ორი უჯრედიდან ერთი კონტროლდებოდა სრულად ვიდეომეთვალყურეობით, თუმცა ლიფტის დამონტაჟების შემდგომ საჭირო გახდებოდა დამატებითი ვიდეოკამერების დამონტაჟება, ვინაიდან ლიფტის დამონტაჟების შემდეგ მოქმედი/არსებული ვიდეომეთვალყურეობის კამერების ხედვის არეალი შეიზღუდებოდა და სრულად ვერ მოხდებოდა კიბის უჯრედის გაკონტროლება. კიბის მეორე უჯრედშიც, რომელიც დირექციის თქმით არ გამოიყენებოდა მოსწავლეთა სიმცირის გამო და დაკეტილი იყო, დასამატებელი იყო ვიდეოკამერები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდა დამატებით სათვალთვალო კამერების დამატება მიმდინარე სასწავლო წლისთვის. ექსპერტის განმარტებით სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და წარმოადგინა ვიდეომეთვალყურეობის კამერების დამონტაჟების ფოტომასალა.
ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ყველა პირობა, რომ უზრუნველყო 640 მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება.
ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანური რესურსის თაობაზე. მან განმარტა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობაში მოეყვანა eschool-ის ბაზაში მასწავლებლების სტატუსი და ხელშეკრულებაში მითითებული მასწავლებლის სტატუსი. კერძოდ, რომ eschool-ის ბაზაში 12 მასწავლებელი იყო უსტატუსოდ, 2021 წლის 6 სექტემბერს აღნიშნულ მასწავლებლებთან დადებული იყო მაძიებელი მასწავლებლის ხელშეკრულება. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 640-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო სკოლას (ს/კ: 200073623) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 640-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:42 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა